

2,4-დ

დიმეთილამინის მარილი 72% წ.ხ.

**გადაღებულ, სისტემური მოქმედების პერბიციდი
ორღებნიანი სარეველების წინააღმდეგ თავთავიანი
კულტურებისა და სიმინდის ნათესებში**



საბაზისო პერბიციდი მებარცვლოებაში



2,4-დ დიმეთილამინის მარილი 72% ნ.ხ.

მაღალეფექტური სისტემური მოქმედების ჰერბიციდი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის ნათესებში

მოქმედი ნივთიერება

720 გ/ლ 2,4-დ დიმეთილამინის მარილი (2,4-დ დმბ)

2,4-დ დმბ თხევადი, სისტემური მოქმედების ჰერბიციდი. ახასიათებს მაღალი სელექტიურობა საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის, ქერის, ჭვავის, შერის, აგრეთვე სიმინდის მიმართ. არ ზღუდავს თესლბრუნვაში შემდეგში კულტურების მოყვანას.

თავსებადობა

შესაძლებელია შერევა ფუნგიციდებთან, ზრდის რეგულატორებთან, სასუქებთან და სხვა ჰერბიციდებთან.

მოქმედების მექანიზმი

2,4-დ დმბ სარეველების ზრდის პროცესში იწვევს უჯრედების არაკონტროლირებად დაყოფას და მათ არაბუნებრივ წაგრძელებას. ამის შედეგად ვითარდება ღეროსა და ფოთლების შესქელება-დაგრეხვა, რაც საბოლოოდ განაპირობებს სარეველების დაღუპვას.

მოქმედების სპექტრი

2,4-დ დმბ მოქმედებს სარეველების ფართო სპექტრზე:

მაღალმგრძობიარე სარეველები

| | |
|-----------------|-------------|
| მინდვრის მდოგვი | თათაბო |
| რაფსის ნაგერალა | წიწმატელა |
| ბოლოკურა | გონგოლა |
| ნაცარქათამა | ფუნფუნა |
| ქუთქუთა | ძალღუფრძენა |
| წიწმატურა | ამბროზია |
| ნარი | ლორის ბირკა |
| ჯიჯლაყა | ბირკა |
| რძინა | ცერცველა |
| ტყისურა | |

საკმარისად მგრძობიარე სარეველები

| | |
|-----------------|------------|
| ხეარტელა | მზესუმზირა |
| ყაყარო | დანდური |
| სპერგულა | მატიტელა |
| ვარდისფერი ღიჭა | შეია |
| ყვითელი ღიჭა | საპონელა |

სუსტად მგრძობიარე სარეველები

| | |
|---------------------|-----------|
| ირაგა | კესანე |
| დედოფლისთითა | გვირილა |
| ყანის ია | თავციცხლა |
| ყუნურუკო | ლემა |
| ბეგიაური | ბაია |
| ბებრისკონა | |
| ნითელი ჭინჭრის დედა | |


არ მოქმედებს:

| | |
|---------------|---------------|
| შიშველი შერია | მელაკუდა |
| თივაქასრა | მხოზავრ ჭანგა |
| საგველა | |

გამოყენება

თავთავიანი კულტურებში

2,4-დ დმბ გამოიყენება გაზაფხულზე მცენარის ბარტყობის ფაზაში, 3-4 ფოთლის ასაკიდან ალერბამდე (21-29 სტადია ზადოქსის მიხედვით).



ეს პერიოდი ემთხვევა სარეველების აქტიური ზრდის ფაზას (5-7 სმ სიმაღლე), როდესაც ისინი ყველაზე მგრძობიარენი არიან ჰერბიციდების მიმართ. საუკეთესო უფექტი მიიღწევა თბილ, მზიან ამინდში შესხურებისას. სამუშაო ხსნარის წვიმით ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად შესხურება უნდა ჩატარდეს ნალექების შესაძლო გამოვლინებამდე 3-5 საათით ადრე. არ შეიძლება მარცვლეული კულტურების ისეთ დროს დამუშავება, როდესაც ისინი დასუსტებულია ყინვის, ჭარბი ტენის, დაფარვის ან სხვა არაბუნებრივი ფაქტორების შედეგად, ან როდესაც მოსალოდნელია წყინვები. ერთდროულად ჰერბიციდთან ერთად მცენარის გამოსაკვებად ფოთლიდან რეკომენდირებულია სამუშაო ხსნარში 50 კგ/ჰა პარდოვანას ან ამონიუმის გეარჯილას დამატება.

წუფარში

სანკტ-პეტერ-შტრასსე, 25
A-4021 ლინცი/ავსტრია
ტელ.: 0043-70-69 18/35 35
ფაქსი: 0043-70-69 18/20 04
ტელექსი: 22-13-24

სიმინდში 2,4-დ დმბ გამოიყენება 3-5 ფოთლის ფაზაში. უფრო გვიან ფაზაში პრეპარატის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. შესხურების ჩატარება რეკომენდებულია მშრალ, მზიან ამინდში, ყველაზე სასურველია 1-2 მზიანი დღის შემდეგ, როდესაც სიმინდის ფოთლებზე წარმოიქმნება დამცავი ცვილის ფენა. არ შეიძლება ყინვისგან, გვალვისგან, ჭარბი ტენისგან დასუსტებული სიმინდის შესხურება. არ შეიძლება აგრეთვე ტყბილი სიმინდის (პოპკორნის) ნათესების დამუშავება.

ხარჯვის ნორმა:

პრეპარატის ხარჯვის ნორმაა **0,8-1,3 ლ/ჰა**. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაა **300-400 ლ/ჰა**.

მოქმედების სპექტრის გაფართოებისათვის შესაძლებელია **2,4-დ დმბ**-ს გამოყენება სხვა ჰერბიციდებთან ერთად. ამ შემთხვევაში ხარჯვის ნორმა დაიყვანება 0,5 ლიტრამდე ჰექტარზე.

ტოქსიკურობა

2,4-დ დმბ ნაკლებტოქსიკურია თბილისისხლიანებისათვის. არ ვნებს ფუტკარს.

გაფრთხილება

2,4-დ დმბ-ს შესხურებისას არ უნდა დაფუშვათ სამუშაო ხსნარის მოხვედრა სხვა კულტურებზე. განსაკუთრებით მგრძობიარეა პრეპარატის მიმართ ჭარხალი, რაფსი, ბოსტნეული კულტურები და ვაზი.

პრეპარატი რეგისტრირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ სარეგისტრაციო № 413 (26.10.2000)

წარმომადგენლობა ამიერკავკასიაში:
„გარემო და ანალიტიკა“, შპს
საქართველო, თბილისი
ტელ.: 8-99-56-93-38; 8-77-47-28-59
ფაქსი: 22-19-65
e-mail: garemo@hotmail.com

